ოქმი:**ო03.37211091**

თარიღი:**19/04/2021**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2021 წელი, 14 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ბერიძე, ალ.ღლონტი, გ.ჩავლეშვილი, მ.ბერიძე, ბ.თოიძე, ტ.აროშიძე, მ.ზოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

თანამომხსენებელი:პ.ჭყონია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

თანამომხსენებელი:დ.გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად მაჩვენებლებზე, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად მუნიციპალიტეტმა შეძლო გეგმის შესრულება თითქმის ყველა პარამეტრების მიხედვით, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს: ,,მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“; მოისმინეს, იმსჯელეს და ასევე მხარი დაუჭირეს პროექტს- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს“.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები: ,,მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ"; და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ" წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი